# ერი

№ 11

წელიწადი პირველი

1913

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . . . 7 მანეთი

ნახევარი წლით. . . . . . . . 4 მანეთი

თვიურათ . . . . . . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

ხუთშაბათი, 14 ნოემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“ Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.



დრაფი ბიბერი ტრიკო მაუდი.

კავკაზე დამყარებული ამხანაგობა

ს. მ. პირაკოზოვი

და ზ. გ. ოგანოვი

ბუმაზეი ფლანელი ვიგონი შოტლანდკა.

მიღებულია დიდძალი საზამთრო საქონელი

კოტიკი პლიუში ველვეტი.

შაბათობით იყიდება იაფათ ნაჭრები.

ველვიური გენუის იდეალი ფლორა.



## ელექტრო თეატრი „რადიუმი“

ასტა ნელსენ.



ასტა ნელსენ.

11, 12, 13-სა და 14 ნოემბერს დიდებული სურათი.

### სუფრაჟისტი ქალი

ხუთმოქმედებიანი მიმიკური პიესა. უმთავრეს როლს შეასრულებს გამოჩენილი მსახიობი ქალი

### ასტა ნელსენ

ადგილების ფასი: ლოჟა—4 აბაზი,
პირველი ადგილი—3 აბაზი.
მეორე—2 აბაზი.
მესამე—6 შაური.

მოწაფე ფორმაში, მხოლოდ მეორე ადგილზე—6 შაური. კონტრამარკები და აბონიმენტის ბილეთები არ მიიღება.

დასაწყისი საღამოს $5^1/_2$ საათზე.



## ქ უ თ ა ი ს ი

პირველი ნოემბრიდან დადიანის ქუჩაზე საკუთარ სახლში იხსნება

### ქიმიურ-ბაკტერიოლოგიური ლაბორატორია

პ რ ო ვ ი ზ ო რ ი ს

### პ. ს. ჩინჩალაძისა.

ღებულობ ანალიზებს! შარდისას, სისხლისას, ნახველისას, თესლისას, კუჭის სითხისას, ქალის რძისასა და სხვა.

ბაკტერიოლოგიური გამორკვევა დიფტერიის ბაცილებისა.

ლაბორატორიიდან ეძლევათ ბატ. ექიმებს ტამპონები ყელში მასალის ამოსაღებათ.


## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

გრძელდება ხელისმოწერა ჟურნალ „სასოფლო გაზეთზე“: 24 ამ თვეს შესრულდება ჟურნალის არსებობის ერთი წელიწადი,

მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისათვის. წლიური ფასი ჟურნალისა 4 მანათი, ნახევარი წლის 2 მანეთი. ფულის შემოტანა შეიძლება ორ ჯერათ: 2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანათი 1 მაისისთვის.

მთელი წლის ხელისმომწერს გაეგზავნება ბოსტნეულობის და საკვები ბალახის თესლები და წიგნაკები.

ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Кутаисъ. Селскохозяйственная школа Александру Шаращидзе.


ვ…ც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

**პ ა რ ო ს ი** { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.**

თ ფ ი ლ ი ს შ ი.



## ქალაქის თეატრი.

ხუთშაბათს, 14 ნოემბერს, 1913 წელს გაიმართება

### ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ს ა ღ ა მ ო.

I. განყოფილება.

**სამსონ დადიანი** წაიკითხავს ლექციას: „მე-XIX საუკ. ქართული კაზმული ლიტერატურა“.

II. განყოფილება

წაიკითხვენ თავის ნაწარმოებთ: სიტყვა (ფირცხალავა), გრ. დიასამიძე, დ. თომაშვილი, დ. მესხი, ჯ. ჯორჯიკია, ა. წულბაძე, გუცა, სეგდიანი და სხვ.


## ქუთაისის საადგილ-მამულო სათავ.-აზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 4—5 ივნისის 1913 წ. მორიგ კრებაზე ბ.ბ. რწმუნებულთა დადგენილების თანახმათ, 24 ნოემბერს 1913 წ. დილის 10 საათზე, ბანკის სადგომში ქუთაისში

### დანიშნულია რწმუნებულთა არაჩვეულებრივი კრება,

რომელიც ბანკის წესდების § 89 პირველი მუხლის ძალით, კანონიერათ ჩაითვლება, მიუხედავათ იმისა, რამდენი რწმუნებულიც არ უნდა დაესწროს.

კრების განსახილველ საგანს შეადგენს შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება კომისიისა, რომელიც არჩეული იყო რწმუნებულთა მიერ ამ წლის 6 ივნისის კრებაზე, მიხეილის სათავ.-აზნაურო ბანკის მოსამსახურეთა შტატის შემუშავების შესახებ.

2. მოხსენება ზედამხედველი კომიტეტისა და ბანკის გამგეობის შეერთებული სხდომისა მოსამსახურეთა დაჯილდოვების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ იგინი პენსიის დამსახურებამდი დაანებებენ სამსახურს თავს.

3. ბანკის გამგეობის მოხსენება შესახებ იმისა, რომ ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს შეისყიდოს ბირჟაზე გასაუქმებელი გირავნობის ფურცლები ტირაჟში მათი დაქრობით.


## ახლათ გამოშვებული პაპიროზები „დ ე ლ ი - ბ ა ბ“

10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. — ი ყ ი დ ე ბ ა ყ ვ ე ლ გ ა ნ.

პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.

თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა“ ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.



## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზ ის უკანა განყოფილებაში, **სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები:** კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშვების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშვების რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს **ღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.**

პატივისცემით ა. **ახვლედიანი.** № 3.



**აქიმი** დ. **ჯაფარიძე** იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

**აქიმი** კ. თ. **ტყეშელაშვილი.** ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი, ვენერიული, კანის**) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.



## ლაბა ზესტაფონი

**აქიმი ლ. დ. ნაზაროვი**

მიიღებს ავათმყოფებს: შინაგანის და ბავშთა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თედორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.

**აქიმი** ი. **ჩარექოვი** იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს **ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

**აქიმმა** ბ. ა. **მირაქოვმა** დროებით რუსეთში წასვლის გამო შეწყვიტა ავათმყოფების მიღება.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი.

**მ. გალანჩივაძისა**

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე ვუცრი ყვავილსაც. გენერლის ქუჩა, აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

**ა ქ ი მ ი** გ. ა. **მეიფარიანი.** ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.


## სახელმწიფო სათათბირო.

### 12 ნოემბრის სხდომა.

**გოლკონსკი** თავჯდომარეობს. უკამათოდ ღებულობენ ოთხ კანონპროექტს. მსჯელობენ სამხედრო ბევრის საქმეთა საკრებულოსთვის 17,700 მანეთის გადადების შესახებ. ეს ფული უნდა დაიხარჯოს ახალი სისტემის სასწორის შემოღებისთვის, რომელზეც ჯარის კაცათ გასაწვევ პირს აწონიან. **გოდნევი** აღნიშნავს—შინაურ საქმეთა სამინისტროში უკანონოთ, საკანონმდებლო დაწესებულების დაუკითხავათ, შემოვიდა ეს პროექტიო. სასწორები უკვე იყიდეს და თავ-თავის ადგილას დაგზავნეს. სამინისტროში შემოსული ეს წინადადება თავისი ფორმით კანონის მოთხოვნილებას ეწინააღმდეგება, ამიტომ ოკტომბრისტები კანონპროექტის მიღების წინააღმდეგ წავლენო. შინაურ საქმეთა მინისტრის ამხანაგი **ლიკოშინი** ამტკიცებს, რომ ეს პროექტი არავითარ უკანონობას არ წარმოადგენსო. აღნიშნავს ბიუჯეტის წესდების 31 მუხლს, რომლის ძალითაც ხსენებულ საქმეზე კრედიტის გადადების ნება გვქონდაო. სათათბირომ თუ ეს პროექტი უარყო, ის ზიანს მოუტანს, როგორც ადგილობრივ ხალხს, ისე სამხედრო საკრებულოს წევრთ, ვინაიდან მთავრობა უსახსრობის გამო იძულებული იქნება მათი სამართლიანი მოთხოვნილება გზის ფულის მიცემის შესახებ არ დააკმაყოფილოს. **გოდნევი** ამბობს: სამინისტროს წარმომადგენელმა თვით განაცხადა, რომ ფული დაიხარჯა ნაცვლით პირველი საჭიროებისა მეორეზე. მთავრობას თუ გზის ფული არ ექნა, აქ დამნაშავეა არა სათათბირო, არამედ სამინისტრო. **სოკოვცკი** იმედს გამოსთქვამს, რომ სათათბირო სამინისტროს

სამართლიან მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს. ამბობს: გადასადები ფულის რაოდენობა უმნიშვნელოა. გოდნევმა, როგორც ამ მოთხოვნილების მტერმა, კარგათ უნდა იცოდეს, რომ ჯარისკაცათ გასაწვევ პირთა აწონვა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. სამინისტრომ თუ სასწორების შესაძენათ ხარჯი გასწია და საკანონმდებლო დაწესებულებას არ დაეკითხა, ეს იმიტომ, რომ მის ხელში ძლიერ მცირე დრო იყო მუშაობის დაწყებამდი.

კანონპროექტს, 130 ხმით წინააღმდეგ 104 ხმისა, უარყოფენ. კანონპროექტის წინააღმდეგ წავიდენ ოქტომბრისტები და ოპოზიციის წევრები, ხოლო მხარი დაუჭირეს ნაციონალისტებმა და მემარჯვენეებმა.

სათათბირომ უარყო გოტჩინის რეალური სასწავლებლის შესახებ პროექტი. მიიღო სამი წვრილი კანონპროექტი. მათ შორის იყო კანონპროექტი ამურის რკინის გზის შესახებ. მიიღეს აგრეთვე ფორმულა, რომლის ძალითაც ყოველ სადგურზე კორესპონდენციების მიღება უნდა მოეწყოს. რისლეგმა აღნიშნა, ამურის რკინის გზის სიცუდე. სათათბირო იხილავს პოლონეთში სასმელების სავაჭროს შესახებ კანონპროექტს. მომხსენებელი კრინსკი თხოულობს კანონპროექტის მიღებას. ფინანსის მინისტრის ამხანაგი ამ საკითხის ისტორიაზე დიდხანს ლაპარაკობს. კანონპროექტს ღებულობენ. კოვალევსკი მხარს უჭერს საკანონმდებლო წინადადებას, რომ ქალთა სასწავლებლებში მოსამსახურეთა ქონებრივი მდგომარეობა გაუმჯობესებულ იქნას. მხარს უჭერს აგრეთვე ქალთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში ზოგიერთი წესის შეცვლის მოთხოვნილებას. საკანონმდებლო წინადადება ეხება აგრეთვე სავაჟო გიმნაზიების, პროგიმნაზიებისა და რეალური სასწავლებლის წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლას, სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგი შევიაკოვი აცხადებს: მთავრობა პრინციპიალური მოსაზრებით საკანონმდებლო წინადადების მიღებას შესაძლებლათ სცნობს. მთავრობა იკისრებს ამ საკითხის შემუშავებას. კოვალენსკი. შევიკოვის პასუხით კმაყოფილია და აცხადებს: განათლების უწყება თანაგრძნობით ეკიდება ამ წინადადებას. საქმის დაჩქარების მიზნით ორატორი წინადადებას იძლევა, რომ ეს წინადადება სახალხო განათლების კომისიას გადაეცეს განსახილველათ. კოვალენსკის წინადადება მიიღეს. იხილვენ ნაკაზის შესახებ პროექტს. მომხსენებლის მოთხოვნით სათათბირო პროექტს მუხლობრივ იხილავს. პროექტის პირველ რვა მუხლს კომისიის რედაქციით ღებულობენ. უარყვეს რამდენიმე შესწორება. სათათბირო მომხსენებლის აზრს ეთანხმება.

შემდეგი სხდომა ხვალ.

# ქართველთა კოლონიზაციის საქმე.

**შავიზღვის პირათ სოხუმის ოლქში**

ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს რომ დაუკვირდეს ჩვენებური გარემოების უცნობი მკითხველი, უსათუოთ იმ აზრს გამოიტანს, რომ ჩვენ შინაური მორიგი კითხვა, საქმე ან სრულიად არა გვაქვს, ან არც კი გვეპიტნავება ის. მთელი ჩვენებური მწერალ მოღვაწეთა ყურადღება იმაზე არის მიპყრობილი, თუ რა აზრებს გამოსთქვამენ მარკოვი, ან პურიშკევიჩი სახელმწიფო სათათბიროში, თითქოს ამაზე მეტი საჭირო და ღირსშესანიშნავი მოვლენა ჩვენ ცხოვრებაში არც არსებობდეს; ამავე დროს მთელი ჩვენი ცხოვრება იშლება, ირღვევა, ყოველივე ჩვენებურობისათვის საჭირო და სასარგებლო საქმე უნუგეშო გარემოებისა და უპატრონობის მიზეზებით ბრკოლდება, ხდება, ილუპება თანდათანი, წინდაწინ განზრახული მიზნით, ჩვენი ხალხის საწინააღმდეგო მოქმედ ჯგუფთა მეოხებით. ავიღოთ თვალსაჩინო მაგალითი — შავიზღვის პირათ ქართველთა მდგომარეობის საქმე.

ის ფაქტი ხომ ყველასათვის ცხადია, რომ მთავრობა დიდი ხანია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შავიზღვის პირათ მკვიდრ მცხოვრებთა რიცხვის შემცირებასა და შიდა გუბერნიებიდან რუსების გადმოსახლება დამკვიდრების საქმეს; ამ მიზნისთვის არ ზოგვენ არავითარ საშვალებას: ახლათ მოვლინებული „კონსტიტუციონური“ დაწესებულება — სახელმწიფო სათათბირო ათი მილიონებით იძლევა დაუბრკოლებლათ ამ დიდი საქმისთვის.

ეს ისეთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ხალხის ჩვენივე ქვეყნის საუკეთესო, ბუნების სიმდიდრით უხვათ დაჯილდოვებულ ადგილში შერჩენა — ყოფნა არ ყოფნის საქმისთვის, რომ ამაზე არა ერთი-ორი მწარე გრძნობით სავსე აზრი უნდა გამოთქმულიყო ჩვენებურ ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ ჩვენც ხომ იმნაირსავე გარემოებაში ვართ, როგორშიც იყვენ რუსთა მთავარი სარდალნი იაპონიის ომის დაწყების წინა დღეებში. ჩვენ მხოლოდ უბრალო, უმნიშვნელო კითხვები გვაინტერესებს და მთავარი, ჩვენი არსებობის შესახები საქმე კი თითქოს ჩვენი ზრუნვის საგანიც არ იყოს. რაკი მთავრობამ გადასწყვიტა, რომ შავიზღვის პირათ უნდა შექმნას თავის მცხოვრებთაგან კოლონიზაცია, ამისთვის სასტიკი განკარგულებაა — რაც შეიძლება მეტი ადგილი დამზადდეს მოსავალ მცხოვრებთათვის. ნელნელა, კანონიერი საშვალებით რაც ხდება, იმას, ჩვენისთანა ბეცი მკვლევარნი ჩვენი ცხოვრებისა ვერ ვამჩნევთ; ჩვენ ძალუნებურათ გვაფრთხობს ტკბილი ძილისაგან ისეთი გარემოება, როგორიც არის პარნაუთელი დაბინავებულ — დასახლებული ქართველი გლეხების სახელმწიფო საიჯარო მიწიდან ძალით განდევნა, აოხრება, დანგრევა. ორიოდე წერილით ავხმაურდით ამ საქმეზე, მაგრამ, როცა ჩვეულებრივათ ჩვენს ხმას არავინ ყურადღება არ მიაქცია, ჩვენც როგორც მონობა-მორჩილების შეჩვეულ ადამიანთა წესია, გავჩერდით და დავივიწყეთ ეს სასტიკი შეურაცხყოფა-უსამართლობა.

ორმოცი ათასი ჩვენებური მშრომელი ხალხი — ქართველობა დასახლებულია მოიჯარადრობის წესით კერძო მესაკუთრეთა მიწა-ადგილებზე. 1905 წლს შემდეგ აუტანელი შეიქნა მათი მდგომარეობა; ამ კითხვის შესახებ რამდენიმე წერილი გვქონდა ჩვენ დაბეჭდილი ჩვენს გაზეთებში, მაგრამ დღემდი არავის ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია ამ ჩვენი ცხოვრების მწარე გარემოებისთვის. როდესაც შეამჩნიეს, რომ სახელმწიფო ადგილები არ კმარა შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულთათვის თავისი მოხელეებისა და ფარულათ დამხმარე ხელის შემწყობთა მეოხებით, მოაწყვეს საქმე ისე, რომ აფხაზთა მემამულეები შეაგონა — განდევნონ ქართველები, ნუ მისცემენ მათ იჯარით მიწებს და მემამულეთა სარგებლობის მოსაზრების გასამართლებლათ მთავრობამ განსაკუთრებული განკარგულებით ადგილობრივ ადმინისტრაციას ნება დართო — ხელი შეუწყონ უცხოეთიდან — სათათრეთიდან მოიჯარადრეების შემოსვლას: 1905-დან დაწყებული მთავრობის ნებადართვითა და ხელის შეწყობით 50 ათას კაცზე მეტია შემოსული სოხუმის ოლქში თათრის ქვეშევრდომი — სომხები და ბერძნები აფხაზთა მიწებიდან ქართველების გასადევნათ და მათი ადგილების იჯარის წესით ხელში ჩასაგდებათ. გასაოცარი მოვლენაა და ასახსნელათაც პირველი შეხედვით გაუგებარი ის მოვლენაა, რომ რუსის მთავრობა და რუსთა საზოგადოებრივი საჭიროების გამომხატველნი — მოხელენი და კერძო პირები ხელს უწყობენ უცხოელების დასახლება-გამაგრებას ქართველების ბუნებით კუთნილ და წილათ ხდომილ ადგილებზე. მოვიყვანთ აქ ერთ ამაშფოთებელ მაგალითს: რაკი დავრწმუნდით, რომ თხოვნა-ვედრებითა და უსამართლობის წინააღმდეგ საჩივრით ვერაფერს გავხდებით იმისთანა საქმის დასაცველათ, რომლის წინააღმდეგაც სასტიკი პოლიტიკა მოქმედებს, გადავსწყვიტეთ კანონიერი, ყველასათვის ნებადართული წესით გვესარგებლა: დავარწმუნეთ ჩვენი მიწის მაძიებელი მოიჯარადრენი ყოველივე ზომა მიეღოთ, რომ მიწა საკუთრებათ შეეძინათ, სადაც კი შემთხვევა ნებას მისცემდა მათ. რა თქმა უნდა, დაუხმარებლათ, ხელის შეუწყობლათ, ძნელია ჩვენებური გლეხის შეძლება — ქონების მეოხებით სადმე მიწის საკუთრებათ შეძენა, მაგრამ მაინც მოვახერხებთ საქმე ისე, რომ ორასმა ჩვენებურმა გლეხმა ორი წლის განმავლობაში შეკრიბა იმდენი ფული, რომ შეეძლოთ მიწის ყიდვა. გავმართეთ მიწერ-მოწერა რამდენიმე მემამულესთან, მაგრამ ყველგან ჩაგვიფუშეს საქმე. უმეტეს ნაწილათ მემამულენი ადგილობრივ ვექილებს ეკითხებიან რჩევას, და ესენი კი რუსები არიან და თანაც განსაკუთრებულათ განწყობილი ქართველების საწინააღმდეგოთ. მიუხედავათ ამისა მოვაწყვეთ საქმე ისე რომ ერთი მოსკოვში მცხოვრები, ტომით გერმანელი — რეინჰარტი დიდი ხნის მიწერ-მოწერასა და თხოვნა-ვედრებას შემდეგ დავაჯერეთ, რომ თავისი საკუთრება მიწა წებელდაში, სოხუმის ოლქში 711 დესეტინა ქართველ გლეხებისთვის მიეყიდა; დეპეშით თანხმობა მოგვივიდა, ფასი გადავსწყვიტეთ, გლეხები დავამზადეთ, ფულები ბანკში შევატანიეთ ამ მამულის საყიდლათ. გამყიდველიც დავიბარეთ საქმის გასათავებლათ. როცა ჩამოვიდა მიწის მოსაყიდათ, წინასწარი პირობაც კი შევადგინეთ და ბეც მივართვით, ამ დროს შეგროვდა ადგილობრივი რუსობა, გაუგზავნეს დეპუტაცია ამ მემამულეს, შეუთვალეს: „მთავრობა და ჩვენ აქიდან ვასახლებთ ქართველებს და თქვენ კი გინდათ დაამკვიდროთო. დაარღვიეთ პირობა, ჩვენ გიზღავთ ზარალს და მიწა სომხებს მიჰყიდეთო“. მართალაც, როცა ჩვენ დიდ გაწამაწიაში და ფულის შეკრება-სესხების საქმეში ვიყავით გართული და სრული დაიმედებული მით, რომ მამული უკვე ნაყიდი გვქონდა, ამ დროს თურმე ჩვენი მოწინააღმდეგების ცდა-მეცადინობის მეოხებით საქმე სულ ჩვენს წინააღმდეგ დაბრუნდა: გააპარეს გამყიდველი ქუთაისში და იქ სათათრეთის ქვეშევრდომმა სომხებმა რამდენიმე რუსის სახელზე გააკეთეს ხელშეკრულობა ამ მამულის ყიდვის შესახებ; ჩვენ კი ადგილობრივი სოხუმის ნოტარიუსის წინაშე წარვადგინეთ დაპირებულ ვადაზე პირობის ძალით აღთქმული მამულის საყიდლათ ნაღდი ფული.

წინასწარი შეთანხმებით უფლება გვქონდა ნახევარი ნაღდი ფული წარგვედგინა და ნახევარი ვექსილებით, მაგრამ როცა გავიგეთ, რომ რუსები მიზეზს ეძებდენ პირობის დასარღვევათ, მთელი დაპირებული თანხა ნაღდ ფულათ მივიტანეთ ნოტარიუსთან, ხოლო გამყიდველი არ გამოცხადდა, ის გამოაპარეს ორი ვექილის თანხლებით ქუთაისში სომხებთან ერთად და იქ კი ნოტარიუსთან ერთი მაჩანჩალა ვექილი გამოგზავნეს, რომელმაც წინდაწინ რუსთა თათბირის გადაწყვეტილების თანახმათ ლაზღანდარული კილოთი მოგვთხოვა ყოფილი მოსკოვის ქალაქის თავის რუკავიშნიკოვის და მოსკოველი მდიდრის მექარხნე სმეცკოის ვექსილები, მაგრამ როცა ნაღდი ფული წარვადგინეთ, მაშინ უარი გვითხრა: არ გვინდა პირობის ასრულება და რაც გინდათ ის ქენითო. ავიღეთ ნოტარიუსიდან უტყუარი საბუთები იმის, რომ გამყიდველმა ბე აიღო, დაპირებულ ვადაზე ფული წარვადგინეთ, მაგრამ პირობა არ შეასრულა; გვეგონა სამართალი მაინც არსებობს ყველასთვის ერთნაირი: ქუთაისის ცნობილმა ვექილებმა გადახედეს ჩვენს ქაღალდებს, სცნეს ფაქტათ, რომ პირობა დარღვეულია, მაგრამ რუსული ყიდვა-გაყიდვის კანონის ძალით, თურმე დღეს ერთს შეუძლია მიყიდოს მამული, ხვალ კი მეორეს; გამყიდველი პასუხისმგებელია მხოლოდ იმ ზარალისა, რასაც სასამართლო იცნობს, ამასთანავე ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ქართველს ნაკლებათ უჯერის მსაჯული ზარალის მოთხოვის საქმეში...

ასეთია ჩვენი ტანჯული ხალხის გაჭივრებული ცხოვრების ერთი ისტორიათაგანი; ჩვენს ბეჩავს ხალხს თავისი ოფლით ნაშოვნი ფულით თავის ქვეყანაში მიწის შეძენაც კი აკრძალული აქვს...

ნიკო თავდგირიძე.

# დ ღ ი უ რ ი

ბულგარეთი ოსმალეთს დედეაგაჩს უთმობს, თუ ეს უკანასკნელი ბულგარეთს ბალკანეთის კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარება.

— ბულგარეთის ტახტის მემკვიდრე ბორისი ბულგარეთიდან გაქცეულა.

— პარიზის მახლობლათ კალეში 50 ათასი ქვანახშირის მთხრელი მუშა გაფიცულა.

— მოსკოვში [illegible] ცემლათ კრების გამართვის ნება არ მისცეს.

— უნგრეთში უგრორუსოვის ოქმის გარჩევა დეკემრისათვის გადასდვეს.

— ცნობაა — პროკურორები ბეილისის საქმეზე პროტესტს არ განაცხადებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეროვნული საკითხი

## 2) ავსტრო-უნგრეთი.

**დალმაცია** — სამხრეთის პროვინციაა, რომელშიც მცხოვრებთა 96,6% არიან ხორვატები. ამ პატარა პროვინციას აქვს საკუთარი ლანდტაგი და თვითმართველობა. აქ არის ხორვატულ ენაზე რამდენიმე საშვალო სასწავლებელი. უმაღლესი სწავლის შეძენა შეუძლიათ დედაენაზევე იქვე ახლოს ზაგრებში, დიდი ხორვატიის დედაქალაქში. აქ, შეიძლება ითქვას, თითქმის გადაწყვეტილია ეროვნული საკითხი. შეიძლება მოხდეს ოდესმე შეერთება ამ პროვინციისა ხორვატიასთან.

**ისტრია** — ნახევარი კუნძულია, რომელსაც გარს არტყია ადრიატიკის ზღვა, აქ არის 143,000 ხორვატი და 136,000 იტალიელი, სულ არის, მაშასადამე, სამას ათასზე ცოტათი მეტი. აქვს საკუთარი ადმინისტრაციული თვითმართველობა, როგორიც ენატრება ბ. „ნარიძეს“ ამიერკავკასიისათვის. მაშასადამე, ავტონომიისათვის სრულიადაც არ ყოფილა საჭირო მაინცდამაინც ტერიტორიის სიდიდე და მცხოვრებთა სიმრავლე. დიდი ანტაგონიზმია იტალიელებსა და ხორვატებს შორის მაგრამ შესაძლებელია ბოლოსდაბოლოს ისეთი შერიგება, როგორიც მოხდა მორავიაში: ეროვნული ბრძოლის გამწვავება ხელს კი არ უშლის, პირიქით ხელს უწყობს ეროვნული საკითხის გადაჭრას, რადგან საკითხის გამწვავება ნიშნავს საკითხის გამორკვევასა და მომწიფებას. ამის მაგალითს წარმოგვიდგენს კლასთა ბრძოლის საკითხი. იქ, სადაც ჩაგრულსა და მჩაგვრელ კლასებს შორის ძლიერ გამწვავებულია ბრძოლა, მოახლოებულია კლასთა საკითხის გადაწყვეტის დროც.

აქაც შესაძლებელია გამიჯვნა: დასავლეთის ნაპირსა და კუნძულებზე სჭარბობენ იტალიელები და აღმოსავლეთით სლოვენები.

**კრაინა.** ეს ერთადერთი პროვინცია არის, სადაც უმრავლესობას წარმოადგენენ სლოვენები: 475,302 სლოვენია და 28.177 გერმანელი. ამ პატარა პროვინციასაც აქვს საკუთარი ადმინისტრაციული ავტონომია, ე. ი. ლანდტაგი, ადგილობრივი თვითმართველობანი და სხ. დაბალ შკოლებში ასწავლიან სლოვენურ ენაზე და საშვალო სასწავლებლებში მხოლოდ რამდენსამე საგანს ასწავლიან გერმანულათ. ეროვნული მოძრაობა სლოვენთა, დიდი ხანი არ არის, რომ დაიწყო, და, თუ ასე მალე გამოიღო ნაყოფი, იმიტომ, რომ მათ მოეპოებათ ამ პატარა მხარეში ადმინისტრაციული ავტონომია. მაშასადამე, ეს მაგალითიც ცხადათ მოწმობს, რომ ავტონომიის წარმატებისათვის სრულიადაც არ არის საჭირო ტერიტორიის სიდიდე და ხალხის სიმრავლე, როგორც ფიქრობენ ბ. „ნარიძე“ და „მედემი“.

**შტირია.** შუა და ჩრდილო ნაწილში გერმანელები ცხოვრობენ (902,343), სამხრეთით კი სლოვენები (409,531). შეიძლებოდა შტირიისაგან ჩამოეჭრათ სლოვენებით დასახლებული მიწები და შეეერთებიათ კრაინასთან. მაშინ აქ სრულიად მოისპობოდა ბრძოლა სლოვენებსა და გერმანელებს შორის. სლოვენებს უნდათ დააარსონ საშვალო სასწავლებელი ქალაქ ცილიში, მაგრამ გერმანელები არ აძლევენ ნებას. მაშასადამე, აქაც უკვე განვითარებულია სლოვენთა ეროვნული შეგნება და ეს გარემოება კი იმის თავდებია, რომ ადრე თუ გვიან სასურველათ გადასწყდება ეროვნული საკითხი.

**კარინტია** მდებარეობს შტირიისა და კრაინის დასავლეთით; მისი აღმოსავლეთი ნაწილი სოლივით შეჭრილია შტირიასა და კრაინას შორის. აქ სლოვენია 90,495 და გერმანელი 269,960. ცოტაა სლოვენთა შკოლა. აქაც შესაძლებელია შეთანხმება.

ზღვის სანაპირო ქვეყნებს შორის ისტრიას გარდა არის: გორიცა და გრადიშკა, სადაც სლოვენი 140,000-ია და იტალიელი 81,000. აქ ადვილია გამიჯნვა: ქალაქ გორიციას სამხრეთით ცხოვრობენ იტალიელები, ჩრდილოეთით სლოვენები.

**ტრიესტი** იტალიური ქალაქია, სადაც 116,825 იტალიელია, 24,679 სლოვენი და 8880 გერმანელი. ამ ქვეყნებში დიდი ბრძოლაა იტალიელთა და სლოვენთა შორის, მაგრამ თვით ამ ბრძოლის ბოლო იქნება შერიგება.

მაშასადამე, ყველგან შეიძლება ეროვნული საკითხის სასურველათ გადაწყვეტა და მოწესრიგება, თუ კი ის ერები, რომელთაც აქვთ უპირატესობანი, ხელს აიღებენ ბატონობაზე და მოისურვებენ მეგობრობას მეზობელ ერებთან. და იმის თქმა, ეს არ შეიძლებაო, ეწინააღმდეგება ფაქტებს, რადგან ზოგან უკვე მოხდა შერიგება, ზოგან კი მომწიფებულია ნიადაგი ეროვნული საკითხის გადასაჭრელათ.

და, ცხადია, დანაწილებული რომ არ ყოფილიყო ავსტრია პატარა ავტონომიურ ერთეულებათ, დღემდი ყველგან გერმანელები იქნებოდენ გაბატონებული, რადგან საერთო, საიმპერიო პარლამენტში მათ ექნებოდათ უპირატესობა.

შპრინგერი სწუნობს ავსტრიის ახლანდელ ავტონომიურ მიწებს, რადგან ბევრ უსამართლობას ხედავს თითოეულს ამგვარ ერთეულში. მაგრამ, სულ რომ არ ყოფილიყო ავტონომიები, მაშინ ხომ კიდევ მეტი იქნებოდა უსამართლობა და უფრო დაჩაგრული იქნებოდენ ერები.

პირიქით, ახლანდელი უსრული ავტონომიები ერთი ნაბიჯია წინ უკეთესისა, უფრო სამართლიანი ეროვნული გამიჯვნისა და შერიგებისკენ. და, გავიმეორებ, დიდ სახელმწიფოში რთულია, შემოუვლელია ეროვნული საკითხი; პატარა ავტონომიურ ერთეულში კი უფრო ადვილია შეთანხმება ორს ან სამს მეზობელ ერს შორის, უფრო გამარტივებული და ადვილათ გადასაჭრელია საკითხი.

რა ვუყოთ, ეროვნული ბრძოლა რომ არის პატარა ავტონომიურ ერთეულშიც: ბრძოლა — სიცოცხლეა, ბრძოლა მხოლოდ იქ არის, სადაც გამარჯვების იმედია, და მხოლოდ იქ არ არის, სადაც უსამართლო ბედისწერას დამონებია იმედ-დაკარგული, სასოწარკვეთილი, დაბეჩავებული ერი.

მაგრამ აქ არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი დიდი განსხვავება შპრინგერსა და „ნარიძეს“ შორის.

შპრინგერი არ ღალატობს ლოღიკას. მის მსჯელობაში არ არის შინაგანი წინააღმდეგობა. ის, მართალია, არ ამყარებს მტკიცე საფუძველზე თავის იდეალს, მაგრამ ეს კი უეჭველია: თუ დაეთანხმებით მის ძირითად დებულებას, უნდა აღიაროთ დანარჩენი დებულებანიც, როგორც ლოღიკური შედეგი პირველისა.

შპრინგერი ამბობს: შეუძლებელია ეროვნული შეთანხმება ორი მეზობელი ერისა. ამიტომ ის ქმნის ეროვნულ ადმინისტრაციულ ოლქებს და აკავშირებს მათ ერთმანეთთან. და სხვადასხვა ეთნოგრაფიული ოლქი მხოლოდ საიმპერიო პარლამენტში ხვდება ერთმანეთს საერთო პოლიტიკურისა და ეკონომიური საკითხების გადასაწყვეტათ. მაშასადამე, მას ეროვნული საკითხის გადაწყვეტა იმიტომ მიაჩნია შესაძლებლათ, რომ იცის: ავსტრიაში შეიძლება გამოიჭრას ისეთი პატარა ოლქები, რომელთა შორისაც თითოეული — ერთი ეროვნული ელემენტი იქნება უმთავრესათ დასახლებული. ამგვარ ოლქს უნდა მიეცეს, მისი ფიქრით, შინაგანი ადმინისტრაციული თვითმართველობა.

აი მისი სიტყვები: „ერი არის ფედერაცია, ან კავშირი, რომელიმე ერის ოლქთა და ოლქთა ნაწილებისა“ (იხ. მისი „ნაციონალური პრობლემა“, გვერდი 183). „ერთისა და იმავე ერის ოლქები მდებარეობენ სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულების საზღვართა შორის. მაგალითად, გერმანელთა ოლქები... იტალიელთა ოლქები“... (იხ. იმავე წიგნის გვერდი 199).

ამგვარათ შპრინგერის ეროვნული ავ-

# ახალი ამბავი.

მოვაგონებთ საზოგადოებას, რომ დღეს ქალაქის თეატრში საგულისხმო სალიტერატურო სალამო გაიმართება, რომლისთვისაც, სხვათაშორის, თფილისიდანაც არიან მოწვეულნი: გ. დიასამიძე, სიტყვა და ს. დადიანი

✦ ხვალ ქალთა საზოგადოების მორიგ კრებაზე (შავიქვის საბჭოს სადგომი) საღამოს 7 საათზე აქიმი გიორგი ბადურიძე ისაუბრებს შემდეგ თემაზე: — „მემკვიდრეობისა და აღზრდის გავლენა ადამიანზე“.

✦ ქალთა საზოგადოებამ წასულ მორიგ კრებაზე ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ანტ. ფურცელაძის ხსოვნას და შემდეგი შინაარსის დეპეში გაუგზავნა მის ჭირისუფლებს:

„ქუთაისის ქალთა საზოგადოება გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ანტონ ფურცელაძის ოჯახობას, რომელიც ხანგრძლივათა და ნაყოფიერათ ილვწოდა ქართველთა შორის საზოგადოებრივი თვითშეგნების აღორძინებისათვის.

✦ ქ. გუბერნატორმა ნება დართო ვ. აპ. სვანიძეს ელექტრო თეატრ „მონპლეზირში“. გუბის აკაკის სახელის უფასო წიგნ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ სეანსები გამართოს.

✦ ამ ხანათ ქუთაისში წარმოუდგენელათ გაძვირდა ხეტყის მასალა, განსაკუთრებით კი წაბლის მასალა.

✦ როგორც ამას წინათ მოხსენებული იყო ჩვენს გაზეთში, ქვიტირის საზოგადოების ვექილებმა შუამდგომლობა აღსძრეს მეფის მოადგილის წინაშე შესახებ იმისა, რომ ხსენებული საზოგადოების დროებით ვალდებულ გლეხებს ეპატიოსთ 1900 წლამდი არსებული საკომლო საერებო გადასახადის „ნედოიმკები“, სულ 3618 მან. მიუხედავათ ამ შუამდგომლობისა სოფელს მაინც ახდევინებდენ ხსენებულ „ნედოიმკებს“, თუმცა მეფის მოადგილის არავითარი პასუხი არ მოსულა. ამის გამო 12 ნოემბერს საზოგადოების ვექილები და დროებით ვალდებული გლეხები იყვენ მაზრის უფროსთან, რომელსაც სთხოვეს „ნედოიმკების“ გადახდევინების შეჩერება, სანამ მეფის მოადგილის პასუხი მოვიდოდეს. მაზრის უფროსმა დააკმაყოფილა მათი თხოვნა და მისწერა ბოქაულს შეაჩეროს ფულის შეკრება.

✦ საქველმოქმედო საზოგადოების ახალმა კომიტეტმა ჩაიბარა ძველისაგან საზოგადოების საქმეები. ახალი კომიტეტის თავჯდომარეთ არჩეულია ა. ბ. ლორთქიფანიძისა, მის ამხანაგათ მ. ბ. ლორთქიფანიძისა, მდივნათ ს. ე. წერეთელი, კომიტეტის წევრებათ—ნ. ა. ჩარექოვისა, დ. ო. ნიჟარაძე, ვ. ი. ჭილაძე, ლ. ა. ჩიმაკაძე. კომიტეტის ახალი მდივანი კვირას, 17 ნოემბერს დაურიგებს პენსიონერებს პენსიას.

✦ იბეჭდება და მალე გამოიცემა „ერთი პილატეთაგანის“ წერილები—„ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე“—რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა.

✦ შაბათს, 16 ნოემბერს ხონში თეატრ „ლირას“ შენობაში გიორგი მეფარიშვილი წაიკითხავს საჯარო ლექციას თემაზე: „ნების უთავისუფლობა“. კვირას, 17 ნოემბერს ლექტორი ამავე ლექციას წაიკითხავს სამტრედიაში რკინის გზის თეატრში.

✦ გუშინ პალატის სესია შეუდგა მ. გობეჩიასა და ფალიანის საქმის გარჩევას. სასამართლოს დარბაზში გარეშე ხალხს დასწრების ნება არ აქვს.

✦ პალატამ უდანაშაულოთ იცნო და გაამართლა გ. დარასელია რომელსაც ოლქის სასამართლოსაგან სამი წლ. გამასწორებელი რაზმი ქონდა გადაწყვეტილი, კვანტალიანს-კი ასეთივე სასჯელი ერთ წელზე დაუყენა; დაამტკიცა კვაჭაძის შესახებ განაჩენი, 12 წ. კატორგა.

✦ წ. კ. ს ზესტაფონის განყოფილებამ ქუთ. საადგ.-მამულო ბანკისგან ზესტაფონში დამწვარი სათეატრო შენობისა და ადგილის შეძენა განიზრახა და და ამ მიზნით შემწეობისთვის მიმართა შავიქვის მრეწველთა საბჭოს.

✦ სტუდენტი მიხ. ტყავაძე ; ულრმეს მადლობას სწირავს ბ. ა. დ. კვიტაშვილს, რომელსაც მისთვის მატერიალური დახმარება აღმოუჩენია.

✦ პროფესორ მარს „კავკაზის“ თანამშრომლისთვის შემდეგი უთქვამს: „ტყუილია ჩემზე გავრცელებული ხმები, ვითომ არქიმანდრიტი მიხეილისთვის ანის ეკლესიათა გასაღებები წამერთმიოს და თვით იგი ქალაქის ნანგრევებიდან გამედევნოს. ყველაფერი ეს სიცრუეა. ცილისწამებაა სომხური პრესის ერთი ნაწილის მიერ გავრცელებული ხმები, ვითომ ანის სიძველეთა პეტერბურგს გადატანა განმეზრახოსო.“

✦ 10 ნოემბერს ჭალადიდის სადგურიდან 4 ვერსის მანძილზე ფოთიდან მომავალი საქონლის მატარებელი რკინის გზის ლიანდაგზე მოსიარულე შინაური საქონლის ჯოგს დაეჯახა. მატარებელმა ორი ძროხა გასრისა. ლიანდაგს გადასცდა 15 ვაგონი, რომლისგანაც 11—ნაფოტათ იქცა. მძიმეთ დაიჭრა მატარებლით მიმავალი სად. ფოთის ერთი მეისრე. მატარებლების მიმოსვლა 12 საათით შეჩერდა.

✦ დაბეჯითებით იუწყებიან, რომ უწ. სინოდის ობერპროკურორი საბლერი სამსახურს თავს ანებებს და მის ადგილზე სახ. სათ. დეპუტატი ლვოვი ინიშნებაო.

## მოწერილი ამბავი.

**სოფ. გორდი.** (ოდიში) ერთი წელიწადი სრულდება, რაც აქ არსებობს გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა. საზოგადოების თანხას შეადგენს ჯერჯერობით გძელვადიანი სესხი, 2000 მანეთი. ამხანაგობის წევრთა რიცხვი 130-ია და კიდევ მეტი იქნებოდა, რომ ამხანაგობაში ღებულობდენ ხიფლის მასწავლებლებს, რომელთა შესახებ უარის თქმაც გამოწვეულია მით, რომ მათ არ აქვთ უძრავი ქონებაო. გამგეობა მაცადინობას არ აკლებს ამ ფრიად სასარგებლო საქმის გასაუმჯობესებლათ.

**სოფ. ხკინდორი,** (ზემო იმერეთი) 3 ნოემბერს დიდძალი საზოგადოების დასწრებით აკურთხეს სამრევლო შკოლის შენობა კურთხევაზე წარმოთქმულმ იყო სიტყვები მილოცვები მისი წარმატებისათვის.

## აქ-იქაური.

ქალაქის მცირე და საშვალო შეძლების პატრონი მცხოვრები დალხინებული იშვიათადაა, მაგრამ ცხოვრება უფრო გაუჭირდება და გაუმძაფრდება, ცხადია, როცა სოფელ-ქვეყანას მოუსავლობა ეწვევა. წელსაც ასეა. მოუსავლობამ დასწია სოფელი, სიმიდის დაფქვილი ნაკლებათ შემოდისო...

და გლეხი რო ბაზარში ვერ შემოდის, ამის მიზეზი სხვაცაა. ყოველ ამ დროს ასეა. ზამთრის სუსხმა მოაწია, შემოდგომის „ჭინჭყლი“ ამიდები დადგა და სოფლებიდან ქალაქს მომავალი გზა თითქმის შეკრულია, ბედაურიც ვერ გაატანს ბევრგან.

ეს უგზოობა დიდი ჭირია ჩვენი სოფლებისა.

ხშირად საერთო მოქმედების უნარი აკლია, ვერ შეუგნია ჩვენს სოფელს და ამის გამო დიდათ ზარალობს.

ბევრია იმის მაგალითი, რომ საერთო საქმეში მიუდგომლობით ცხად ზიანს ხედავს სოფელი და საქმე ვერ მოუგვარებია.

გზა ყველასთვის აუცილებელი საჭიროა და ამ საქმეში საერთო გასჯაა საჭირო.

როგორც გლეხი ქალამნიანი ფეხით ვერ ასცდება ჭაობსა და ტლაპოს, ისე თავადისა და აზნაურის ჯორ-ბედაურიც ჩაეფლობა ამ ტალახში.

გზა ყველას სჭირია და ყველამ გაუდჩევლათ უნდა იზრუნოს მისი გაკეთებისთვის...

რა მოსატანია აქ უადგილო „კუდაბზიკობა“?!

დ.

# დეპეში.

(პეტ. დეპ. სააგ).

### რ უ ს ე თ ი.

**მოსკოვი.** ვასილიევმა ჰაერში იფრინა აეროპლანიდან წერილი გადმოაგდო დაბლა.

**პოლტავა.** მოფრინდა პარუჩიკი ჩეკუტოვი. მან სიმფეროპოლს, სევასტოპოლს და სხვაგან იფრინა დაახლოებით ორი ათასი ვერსის მანძილზე.

**ტვერი.** ვასილიევი დილის 11 საათსა და 15 წუთზე აეროპლანით აერში აფრინდა.

**პეტერბურგი.** ვასილიევი დილის რვა საათზე გადაფრინდა ტვერში. ჩამოეშვა ალეშენკას სადგურზე 270 ვერსის დაშორებით პეტერბურგზე.

**რიგა.** „პროვოდნიკის“ ქარხანაში მუშაობა სრულიად განახლდა.

**ნიჟნი ნოვგოროდი.** საერობო კრებამ დაადგინა რომანოვთა გვარეულობის მეფობიდან 300 წლის შესრულების გამო გახსნას სამასწავლებლო სემინარია.

**პეტერბურგი.** მონგოლთა მისია ლივადიას წავიდა.

**ადესა.** აკურთხეს რუსეთის საზოგადოების ახალი გემი.

**ურალსკი.** 11 ნოემბერს შავი ჭირით ავათ გახდა ოთხი, მოკვდა 27, ავათ არის 10.

**პეტერბურგი.** სახაზინო მამული, რომელიც უნდა გაიყიდოს გლეხობაზე ევროპის რუსეთის 47 გუბერნიაში უდრის 4,240,000 დესეტინას. სამარის გუბერნიაში არის გასაყიდი 1,200,000 დესეტინა, ასტრახანისაში—729.000, პერმისაში—427,000. სახაზინო მამული სალავათიანი პირობით გაიყიდება. მყიდველი მამულის ფულს 55 წლის განმავლობაში გადიხდის. პირველათ გლეხებს ბეს სახით გამოართმევენ მამულის ღირებულობის ხუთ პროცენტს.

**ვარშავა.** რონიკერის საქმის გარჩევას განაგრძობენ.

**პეტერბურგი.** გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგს ნერატოვს უმაღლესი მადლობა გამოეცხადა.

### უ ც ხ ო ე თ ი.

**ბუდაპეშტი.** უგრორუსოვის საქმის გარჩევა, რომელსაც ბრალათ სახელმწიფო ღალატი ედებოდა დეკემბრისათვის გადასდვეს.

**ვენა.** პოლიტიკურ საქმეთა მცოდნე წრეებში ამბობენ, ბულგარეთის მეფე ტახტიდან გადადგებაო. ტახტიდან გადადგომის ნიშნებს იმაში ხედვენ, რომ ფერდინანდი ფრანც-იოსებმა კარგათ მიიღო: აგრეთვე იმაშიც, რომ ფერდინანდმა გენანდიევი ვენას მიიღო. ბულგარეთის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეების სურვილია—მეფემ სამეფო ტახტი [illegible] დასტოვოს. მეფის აზრით ხალხს რუსეთთან კავშირი კიდევ უნდა[illegible] კი ამ კავშირის წინააღმდეგია[illegible]

**ბერლინი.** [illegible] იხსნა.

**სტამბოლი.** სომხეთა წრეები თხოულობენ, რომ ოსმალეთმა შეიწყნაროს სომხეთაგან დეპუტატის არჩევის უფლება, გაზეთები ამ საკითხს არ თანაუგრძნობენ.

„ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტი უკმაყოფილებას აცხადებს იმის გამო, რომ დიდმა ვეზირმა დაიჯერა გერმანიის რჩევა და საბერძნეთთან მშვიდობიან ხელშეკრულობას ხელი მოაწერა.

**პარიზი.** პალატაში ხარჯთაღრიცხვის კომისიამ გადასწყვიტა—900 მილიონი ფრანკი სესხი გამოსცეს და ეს ფული სამხედრო საჭიროებაზე დაიხარჯოს.

**ბელგრადი.** მეფე პეტრემ ჯარის ერთი ნაწილის დემობილიზაციის შესახებ ბძანებას ხელი მოაწერა.

# დაბა-სოფელი.

**ს. კიცხი.** (ზემო იმერეთი). ექვს გიორგობისთვეს კიცხის საზოგადოების ყრილობამ გადაწყვეტილება გამოიტანა, რომელიც დიდათ ავნებს ჩვენს დამშეულ მხარეს. საქმე შემდეგშია: კარზე მომდგარ შიმშილობას მთავრობაც კი ჩაუფიქრებია და მას კიცხის მამასახლისის სახელზე ეს ერთი ხანია შეკითხვა გამოუგზავნია: „სურთ თუ არა გლეხებს სესხის სახით დახმარება მიიღონ მთავრობისაგან ან ფულით ან ჭირნახულით წრევანდელი მოუსავლობის გამო“? სესხი იქნებოდა უსარგებლო და გადახდებოდა ხალხს ნაწილ-ნაწილათ რამდენიმე წლის განმავლობაში. და ასე გაშინჯეთ, საზოგადოების ყრილობამ უარი სთქვა დახმარების მიღებაზე. ამას შემდეგ კაცი იფიქრებს, რომ წელს კიცხის საზოგადოებაში მოსავალი ჩინებული ყოფილა და ხალხს გარეშე დახმარება არ სჭირდებიაო. ნეტავი მართლა ასე ყოფილიყო! მაგრამ მწარე სინამდვილე სულ სხვა სურათებს გვიშლის თვალწინ. იმერეთის საერთო განსაცდელს ვერც კიცხის საზოგადოება გადარჩა. რამდენიმე თვის განმავლობაში ცის ნამი არ გადმოვარდნილა, მოსავალი ორჯერ ნაკლები იყო ჩვეულებრივზე. აქაური მოსავალი მოსავლიან წლებშიც კი არ ყოფნისთ ადგილობრივ მცხოვრებთ: ათში ერთს თუ გაყვება ხოლმე მოსავალი წლის ბოლომდი თვარა უმრავლესობა სიმიდს იანვრიდანვე ყიდულობს. მართალია, წელს აქით ღვინის მოსავალი კარგი იყო, მაგრამ აქით არ დგება მაინცადამაინც კარგი ღვინო და იმასაც გასაყიდი ბაზარი არ მოეპოვება. სხვა წარმოება ჩვენში არაფერია, და არ იცის კაცმა, რით გაიტანოს თავი.

ერთი სიტყვით ხალხი დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი მოუსავლობითა და ამ

---

ტონომია წარმოადგენს ექსტერიტორიალურ კავშირს ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიათა.

და მისი შეცდომა მხოლოდ ის არის, რომ 1) მას არ უნდა შეაერთოს ერთს დიდ ავტონომიათ ყველა მეზობელი ეროვნული ჯგუფი და 2) უნდა პირიქით გააბას შემაკავშირებელი ძაფი ისეთს ეროვნულ ავტონომიურ ოლქებს შორის, რომელნიც გეოგრაფიულათ, ეკონომიურათა და ადმინისტრაციულათ შეერთებული არიან სხვა ეროვნულ ოლქებთან.

ეს იდეალი, როგორც ზევით ვსთქვით, განუხორციელებელია.

„ნარიძის“ იდეალი ხომ უცნაური რამეა! ის აღიარებს ისეთს ადმინისტრაციულ ავტონომიას, სადაც რვა მეზობელმა ერმა ერთმანეთი უნდა დასჭამოს, და არ მიაჩნია საჭიროთ ადმინისტრაციულ ოლქში ცხოვრობდეს ერთგვარი ეროვნული ელემენტი. ამიტომ მისი ადმინისტრაციული ავტონომია შედარებით დიდია. და ამგვარ ავტონომიაში, მისი ფიქრით, შესაძლებელი იქნება ეროვნული მტრობის მოსპობა, თუ მარტო ადმინისტრაციული და ეკონომიური საქმეები დაექვემდებარება. მაგრამ მან არ იცის, რომ ეროვნულსა და ადმინისტრაციულ-ეკონომიურ მოთხოვნილებათა შორის მჭიდროა კავშირი ე. ი. არ იცის ის, რაც იცის შპრინგერმა და ყველამ, ვისაც კი ლოღიკა არ ღალატობს. და ამიტომ გვაწყდის ხსენებულს პოლიტიკურ იდეალს, რომელსაც არავითარი საფუძველი არ მოეპოება.

და ან კი როდის რა სთქვა მან რამე საფუძვლიანი?!

აქ ორიოდე სიტყვით შევეხები ეროვნულ მოძრაობას სლოვენთა, რომელნიც ცხოვრობენ ზევით აღნიშნულ პროვინციებში დალმაციასა და ილლირიის გარდა.

სლოვენებს არაოდეს არ ქონიათ პოლიტიკური დამოუკიდებლობა. და, რადგან განაწილებული არიან სხვადასხვა პროვინციას შორის, ვერ განავითარეს შესაფერათ ეროვნული კულტურა. მაშასადამე, ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ ეროვნული კავშირი, ერთობა, საჭიროა ეროვნული კულტურისა და განათლებისათვის.

ჩრდილოეთით დიდი წილი სლოვენთა გაგერმანელდა, აღმოსავლეთით გამადიარდა, დასავლეთიდან მათ შორის შეიჭრენ გერმანელნი და იტალიელნი, და ბოლოს სლოვენთა ქვეყნების მთელ სივრცეზე გაიფანტენ გერმანელთა ახალშენები.

მაგრამ კიდევ შერჩათ ტერიტორია და ამიტომ 1848 წლის განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს მათ მოითხოვეს ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია, ე. ი. ის, რასაც ასე უფრთხიან „ნარიძე“ და ძმანი მისნი. და მათი ნატვრა კინაღამ ასრულდა. 4 მარტის 1849 წ. ბოძებული საიმპერიო კონსტიტუციის პირველ მუხლში ავსტრიის სხვა სამეფო მიწათა შორის მოხსენებულია სხვათა შორის „სამეფო ილირიისა“, რომელშიც შედიოდა: საჰერცოგონი კრაინა და კარინტია, საგრაფონი გერცი და გრადისკა, სამარკგრაფო ისტრია და ქალაქი ტრიესტი მისი არემარითურთ. ამ ახალ სამეფოში არ შედიოდა: შტირია, აგრეთვე დასახლებული სლოვენთა მიერ, და აგრეთვე უნგრეთისა და ვენეციის სლოვენთა მიწები.

მაგრამ 1851 წელს, ავსტრიის კონსტიტუცია რომ გაუქმდა, ამ სამეფოსაც მოეღო ბოლო.

შემდეგ, როდესაც ვენეცია შეუერთდა იტალიას, 40.000 სლოვენი მოყვა იტალიის სახელმწიფოში და, როდესაც უნგრეთი გამოეყო ავსტრიას, 100.000 სლოვენი შეუერთდა უნგრეთს.

მაგრამ იდეა ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომიისა ცოცხალია, არ მომკვდარა, და უმეტესი წილი პოლიტიკურ პარტიათა აღიარებს სლოვენთა ყველა მიწის შეერთებას ერთს ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიათ.

ამგვარათ ტერიტორიამ შეაერთა პოლიტიკურათ დანაწილებული ერი! ტერიტორიამ მკვდრეთით აღადგინა სლოვენები, ჩაბერა მათ ეროვნული სული, შექმნა მათი ეროვნული ლიტერატურა და პოლიტიკური იდეალი. დიახ! ტერიტორია ქმნის ეროვნულ კავშირს.

ვიდრე ამ თავს დავასრულებდე, უნდა აღვნიშნო კიდევ ტიროლის (იტალიურათ ტრენტინო) პროვინციის პოლიტიკური მდგომარეობა. აქ ჩრდილოეთით ცხოვრობენ გერმანელები, სამხრეთით იტალიელები და შეიძლებოდა გამიჯვნა მათ შორის. მაგრამ ისინი წარმოადგენენ დღეს ერთს ავტონომიურ-ადმინისტრაციულ ერთეულს და აქვთ საკუთარი ლანდტაგი გერმანულ ქალაქს ინსბრუკში. უმაღლესი ბიუროკრატია შესდგება გერმანელთაგან, რომელნიც ავიწროებენ იტალიელებს. ამიტომ იტალიელები მოითხოვენ თავისთვის განსაკუთრებულს ეროვნულ ტერიტორიალურ ავტონომიას. გერმანელები წინააღმდეგი არიან ამ პროგრამის, და საშინლათ გამწვავებულია ეროვნული ბრძოლა.

საზოგადოთ ავსტრიის იტალიელები, ეროვნული შეგნება რომ განვითარდა მათ შორის, ნატრობენ იტალიასთან შეერთებას. და ეს ფაქტი აქარწყლებს სოციალ-დემოკრატთა აღსარებას, ვითომ ეკონომიურ ინტერესს მეტი ძალა და მნიშვნელობა ქონდეს, ვიდრე ეროვნულს: ეკონომიური სარგებლობის მხრით ავსტრიის იტალიელებს უნდა ქონოდათ მიზიდულობა ავსტრიისკენ და არა იტალიისკენ. ამიტომ, ცხადია, რომელიმე სახელმწიფოს ავტონომიებათ დანაწილების დროს უპირატესობა უნდა ქონდეს ეროვნულ პრინციპს და არა ეკონომიურს. და ეს თვალსაზრისი რამდენათმე ჩანს შპრინგერის პოლიტიკურ მხედველობაშიც!

დაგვრჩა კიდევ განსახილველი დალმაცია, სადაც ცხოვრობენ თითქმის მარტო ხორვატები და სერბნი. მცხოვრებთა რიცხვი ნახევარ მილიონს აღემატება, 83,3% არის ხორვატი, 16,5% სერბი. იტალიელი აქ იყო 1900 წ. მხოლოდ 20.000. ხორვატთა და სერბთ უნდათ შეერთება ხორვატიასთან, იტალიელებს სურთ ავტონომია, მაგრამ, ცხადია, ავტონომისტთა პარტიას აქ არ აქვს და არც ექნება დიდი ძალა, რადგან ხორვატთა მიზანია შეიკრიბონ ერთ ერად. და სხვათა შორის აქაც ჩანს ეროვნული იდეის გამარჯვება ადმინისტრაციულზე: „ადმინისტრაციული თვალსაზრისით უთუოდ ავტონომიის პრინციპს უნდა დარჩენოდა გამარჯვება.

აქვე შევეხოთ ბარემ პორტს ფიუმეს, რომელსაც აქვს უცნაური ავტონომია. აქ ცხოვრობს (1900 წ. სტატისტიკით) 17.354 იტალიელი, 12.633 ხორვატი, 2.842 მადიარი, 2.842 სლოვენი, 1.945 გერმანელი და სხვადასხვა ერის წარმომადგენელიც დაახლოებით 1500. ქალაქს აქვს ავტონომიური თვითმართველობა, დამოკიდებული უნგრეთისაგან. თვითმართველობა იტალიელებს ჩაუგდიათ ხელში. გამწვავებული ბრძოლაა ხორვატთა და იტალიელთ შორის. მაგრამ ამ ბრძოლის ბოლოც უთოდ შერიგება იქნება.

**ბოსნია და გერცოგოვინა.**

1897 წ. აქ იყო, 782.000 მცხოვრები, მათ შორის 782.000 მართლმადიდებელი და 400.000 კათოლიკე. დიდი მემამულენი—მაჰმადიანები არიან, მიწისმუშები—ხორვატები და მოქალაქენი—მართლმადიდებელი სერბნი. მათ შორის მხოლოდ სარწმუნოებრივი განსხვავებაა და არა ეროვნული. მთელი ერი სერბიელ ენაზე ლაპარაკობს საკითხი ენის უფლების შესახებ არ არის და ანტაგონიზმს კათოლიკეთა, მართლმადიდებელთა და მაჰმადიანთა შორის არ აქვს ადგილი.

აქიდან ცხადია, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან სარწმუნოებრივ ბრძოლას აღარ აქვს დიდი მნიშვნელობა და, ბრძოლა ტრიალებს პირიქით, მხოლოდ ეროვნულსა და სოციალურ საკითხებს გარშემო. (იხ. ხსენებულ კრებულში: „იტალიელები“, წერილი რეიხსრატის წევრის ვალენტინო პიტტონისა, „სამხრეთელი სლავები“ „ე. კრისტანისა“, „სამხრეთელი სლავები“ პროფეს. ივ. „კრეკისა“).

ნესტარი.

(შემდეგი იქნება)

საზაფხრო სახლი
# ი. გოკიელის ამხ—ბის
ქუთაისში.

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ აბრეშუმის ჭიის თესლის
# ხ. ხრისტოდულიდის
ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ კრისტეშობამდე [illegible] თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთსა, რომელშიც 200 კოლოფი ექნ' მისხლიანი.
მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 კ. [illegible]
ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის საკუთრო-ში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია ლეგანტი ქქვთამეს მე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმურკაში.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.
# ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე.
მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი სათა-ვახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელოუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი სათა-ვახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.
პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.


დროს საზოგადოების ყრილობას ასეთი დადგენილება გამოაქვს.

ცხადია, აქ სხვა მიზეზი მოქმედებს, რომელმაც აიძულა გლეხები, უარი ეთქვათ სესხის აღებაზე. ამ მიზეზთან ძალიან დაახლოებული პირი ბძანდება ადგილობრივი სოფლის მწერალი. როცა მთავრობიდან მოვიდა ამ საქმეზე შეკითხვა, მწერალი ძალიან გაბრაზდა: „ახლა სწორეთ მაგის წერით შევიწუხებ თავსო!" და თავისებურათ შეუკურთხა გლეხებს. ერთი გლეხი, რომელსაც ეგ გაეგო, მეუბნებოდა: „დაგვღუპავს ნამდვილათ მწერალი, იმას წერა ეზარება და ამიტომ არ უნდა ხალხს დახმარება გამოუვიდესო". საზოგადოების მამასახლისმა კი, გლეხებს მხოლოდ სამშაბათს შეატყობია, რომ ოთხშაბათს ყრილობა იქნებოდა, არ შეატყობია რაზე იქნებოდა ყრილობა, არ მიიღო ზომები, რომ ყრილობა სრული ყოფილიყო, (დაესწრო ასი კაცი, რაც საზოგადოების მესამედსაც არ შეადგენს). მწერალმა უთხრა გლეხებს: „მთავრობა დახმარებას გაძლევთ, თუ გინდათ გამოიტანეთ, მაგრამ ვადაზე უნდა შეიტანოთ, და თუ ვინმე ვერ შეიძლებს შეტანას, ის თქვენ, რომლებიც მდიდრები ხართ, გადაგხდებათ და ამის „პრიგოვორი" უნდა დაადგინოთო". და მოუყვანა მაგალითები, როგორ გადახდა ხალხს რამდენიმე კაცის ვალი. ამ სიტყვებმა ხალხზე იმოქმედა: უმრავლესობა ცოტათი შეძლებული გლეხები იყვნენ, რომელთაც თუმცა „სული უდგიათ", მაგრამ მაინც არ შეუძლიათ სხვის მაგიერ ფულის გადახდა. „მე კი გირჩევთ, განაგრძობდა მწერალი, ნუ ითხოვთ დახმარებას, სხვა საზოგადოებაშიც იყო დაკითხვა, მაგრამ ხალხმა უარი უთხრა, თქვენს მაგიერათ მთავრობას მივსწერ, რომ დახმარება არ გვესაჭიროება, ერთმანეთს რამენაირათ თვითონვე გავიტანთო".

მწერალმა ხალხი დაიყოლია. რამდენიმე გაჭირვებულმა გლეხმა სცადა ხმა ამოეღო ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია. ამას შემდეგ გლეხებს სწრაფათ ებძანათ, დაშლილიყვნენ, და მწერალმა მთავრობასთან გასაგზავნი პასუხი მოამზადა.

წარმოსადგენია, რა ყალბი შეხედულება დაებადება მთავრობას ჩვენს მხარეზე, სადაც ახლავე ბათმანი სიმიდი ოთხ აბაზათ ფასობს და მოსალოდნელია საშინელი შიმშილობა. დახმარებას, რასაკვირველია, ღარავინ მოგვცემს, არც მთავრობა, არც სხვა რომელიმე საზოგადოება. მაგრამ უფრო სავალალო ისაა, რომ, შეიძლება, ამგვარი „ჭირისუფლების" წყალობით სხვა საზოგადოებებმაც კიცხის ნაირი პასუხი მისცენ და ძირბუდიანათ შესცვალონ აზრი ჩვენში მომავალ შიმშილობაზე. მაშინ ქართული პრესის ღელვასა და ჩვენი დეპუტატების ზრუნვას უსაქმო კაცის ჩხირკედელობათ ჩასთვლიან და რაიმე დახმარებაზეც ლაპარაკი შეუძლებელი იქნება. რომ ეს ასე არ იქნეს, უეჭველათ, უნდობლათ უნდა მოვეკიდოთ სოფლის კანცელარიებში შეთხზულ დადგენილებათ იმის შესახებ, ვითომ ხალხს დახმარება არ ესაჭიროებოდეს. ჩვენ უნდა გვქონდეს ხელში ნამდვილი ცნობები კანცელარიებში შეკრებილი ყალბი ცნობების წინააღმდეგ, რომ ამით ცოტათი მაინც შევიმსუბუქოთ მოსალოდნელი შიმშილობის სიმძიმე. ამისათვის დღესვე უნდა გადავსდგათ აუცილებელი, პრაქტიკული ნაბიჯი: არსებულ საკრედიტო ამხანაგობათა გამგეობებს, როგორც საზოგადოების ნდობით აღჭურვილს, შევაკრებინოთ დაწვრილებითი ცნობები მოუსავლობის შესახებ თავის წევრებ შორის და აგრეთვე იმ არა—წევრებ შორისაც, რომელნიც მოისურვებენ ცნობების მოცემას. ეს იქნება ხალხის ტკივილების გათვალისწინება, მისი ნამდვილი სამსახური!

**საველე აბულაძე.**

## ნარევი.

**გრაფი ტისა და მოწაფე.** ბუდაპეშტის ერთ-ერთი შკოლის მოწაფემ უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტს ტისას წერილი გაუგზავნა და შესჩივლა: ამხანაგებში პოლიტიკურ თემაზე კამათის დროს, რომლის დროსაც თქვენ გიკავდით, ამხანაგებმა მცემესო. მინისტრ-პრეზიდენტმა მოწაფეს ასე უპასუხა: საყვარელო ჩემო ბავშო, წავიკითხე თქვენი წერილი და გიპასუხებ, რომ პოლიტიკურ თემაზე ბაასი არ შეგფერის. ხოლო როდესაც გცემენ არ დანებდე და ხურდა მიეცი. შენი სტეფანე ტისა.

**ქალი თუ ვაჟი.** პეტერბურგში ჯარის კაცათ გაწვეულ პირთა გაშინჯვის დროს ერთი პირის სქესი დედობრივისაა თუ მამობრივის ვერ გაიგეს, ეს პირი გაგზავნეს სამხედრო გოსპიტალში, სადაც შვიდ დღეს იწვა. აქ აქიმებმა აღიარეს, რომ ის ნამდვილი მამობრივი სქესის არ არის ეს გაურკვეველი პიროვნება სამხედრო ბეგრის მოხდისაგან გაათავისუფლეს. მას მარშან დაუსრულებია სავაჟო გიმნაზია.

**ამერიკელი ქალები.** ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებთა აღწერილობამ გამოარკვია, რომ რვა მილიონი ქალი გასაზღვრულ ასაკში შესვლას შემდეგ ერთ წერტილზე იყინება. თვით ქალები ამბობენ ქალთა შრომის გამარჯვებამ ქორწინებას მიმზიდველობა დაუკარგაო. ნიუორკელი მწერალი ქალი ანა დოულინგი ამბობს—ქალიშვილები ხშირათ ხვდებიან ისეთ მამაკაცებს, რომელნიც მათზე ნაკლებს ღებულობენ. ამგვარი ქალიშვილების ქორწინება ყოველგვარ სიამოვნებას დააკლებს, მოაკლებს ძვირფას ტანსაცმელს, თეატრებსა და კონცერტებში სიარულს და სხვა. ყოველივე ამის გამო ბევრი ჯანსაღი და შრომის მოყვარე ქალი გაურბის ქორწინებას.

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბატონო რედაქტორო!**

„იმერეთის" 168-ე ნუმერში ვინმე დიმელი ეხება ამ ზაფხულზე დიმში გამართულ წარმოდგენას და ჩირქსა მცხებს მე და ამით სიმართლეს ღალატობს; სიმართლის ასადგენათ საჭიროთ მიმაჩნია განვმარტო შემდეგი: ივლისის მიწურულში შკოლის ახლოს სამკითხველოს წინ ვიჯექი. მოვიდა ჩემთან სტ. დ. ჩხეიძე და მთხოვა: წარმოდგენის შესახებ მოლაპარაკება გვინდა და შკოლის შენობა ცოტა ხნით გვათხოვეო; მე თანახმა გავუხდი და თვითაც დავესწარი მოლაპარაკებას. მოლაპარაკება იყო იმის შესახებ, თუ რა წარმოედგინათ, ვის ეთამაშა და ნებართვა ვის აეღო. შენობის შესახებ იქ ლაპარაკი არ ყოფილა; იქნება, ეგონათ, რომ ის მაინც ნაშოვნი იყო, მაგრამ— „ამირან გულში იმღერის, მოყვარე ბანი მითხარიო",—მე შემეძლო არ მცოდნოდა იმათ გულში რა ედვათ. შკოლის შენობაში მერეც იკრიბებოდენ, მაგრამ ჩემგან ამის ნებართვა არავის აუღია, და ველარც მე ვესწრებოდი, რადგანაც დრო ნებას არ მაძლევდა; 25 დღით დასვენების ნებართვა ავიღე, 2 აგვისტოს შკოლა მასწავლებელ მოსეშვილს ჩავაბარე წერილობითი საბუთით, სადაც სხვათა შორის, წარმოდგენის შესახებ ვსწერდი, რომ შენობაში წარმოდგენის გამართვისა ინსპექტორი უარს არისთქო. 4 აგვისტოს შკოლაში წარმოდგენა გაიმართა სასწავლებლის ზარალის მიცემით, რასაც შედეგათ მოყვა მოსეშვილის ადგილიდან გადაყვანა, ბძანების აუსრულებლობისათვის.

**ქვედა-დიმის სასწავლებლის გამგე ა. გეგეშიძე.**

რედაკ.-გამომცემელი გ. ბრეგაძე.




ქ. ქუთაისში. (საკრებ. ტაძართან).
**ა. თაბაგრის მაღაზიაში.**
მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანა, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი. ფასები ძლიერ დაკლებულია. ვყიდით ნისიათაც თვიური შემოტანით.

სააქციონერო საზოგადოება
„ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია"
იზმაილოვის პროსპ., № 27.
პარიზი 1900 ოქროს მედლები ნიჟნ. ნოვგ. 1886.
# გლიცერინა პელურ
საშუალება მზე-დაკრული ფერის, ჭორფლის, სიწითლისა და მუწუკების გასაქრობათ.




საზოგადოება „ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია" სიყალბის მრავალჯერ განმეორების გამო. სთხოვს საზოგადოებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ფირმის სახელწოდებას: „ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია" და ფირმის ნიშანს: იმპერატორი პეტრე დიდის ძეგლს სენატის მოედანზე ს. პეტერბურგში. იყიდება ამიერ კავკასიის ყველა აფთიაქის მაღაზიასა და აფთიაქში.

## მევენახეთა საყურადღებოთ!
1913 წლის ღვინის მოსავლს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო. ამერიკული ვაზის სანერგე „კლო ყლურული" ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამუნავებს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტე, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოლ—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო"-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და მელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მისეილის ქუჩაზე მმ. გოკიელის სახლში ვ. ტიეგო.

ქ უ თ ა ი ს ი
პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი აქიმებით.
# მუდმივი საწოლებით
## თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.
ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

**დ ი ლ ი თ.**
- გ. ა. ამიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. . . 1—2
- გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის . . . . . . 10—12
- ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო . . . . 11—12
- მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . 1½—2
- გ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . . 12½ 2

**ს ა ღ ა მ ო თ.**
- გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის . . . . . . . . 4½—5½
- გ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . . 5½—6½

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №
სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი. წ.

# გ. გორდამისა და ს. წერეთლის
ერთად-ერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფშესტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის იემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ"
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის და ღუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

# გამოცდილი მასწავლებელი,
ნაფიცი ვექილის თანაშემწე
ამზადებს და ამეორებიებს საშუალო სასწავლებლის მოწაფეებს (და ყველა მსურველსაც) ქართულსა და რუსულ ენებს, ლიტერატურასა და ისტორიას.
## აქვე შეიძლება მიიღოს რჩევა-დარიგება სამოსამართლო საქმეების შესახებ.
მოსწავლენი მიიღებიან ნაშუადღევის 5—6 საათამდი, კლიენტები-კი—საღამოს 6—7 საათამდი. კათოლიკეს ქუჩა სახლი ხოჯევანოვისა, ბინა ი. თ. ცინცაძისა.


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვსი ქუთაისში.